



შირაკი

გამოცემის 85-ე წელი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან

დაქვეყნების წინადადებასთან ერთად

№37 (10.043)

8-15 თებერვალი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ქალადობა, როგორც სწავლის

გაეროს მოსახლეობის ფონდის გამოკვლევის თანახმად, საქართველოში ყოველი მე-11 ქალი ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია, არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალადობის დაცვის ეროვნული ცენტრის“ მიერ ჩატარებული გამოკვლევით კი, ყოველ მესამე ქალს ერთხელ მაინც განუცდია სხვადასხვა ფორმის ძალადობა. ამ ქალების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი ახერხებს მოძალადისგან თავის დაღწევას. ამაში მათ ხელს უშლის ის კულტურული გარემო, რომელშიც ცხოვრობენ, ხშირად - საკუთარი ნათესავები და ოჯახის წევრები, ეკონომიკური დამოკიდებულება ქმარზე, გაურკვეველი მომავლის შიში და ხალხის აზრი. ნაწილობა იმ ქალებისა, ვინც ძალადობას შეეწინააღმდეგა, დროებითი გამოსავალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში იპოვა.

თავშესაფარში თბილა. პირველ სართულზე დიდი მისაღები ოთახია, ტელევიზორით. აქ საღამოობით იკრიბებიან ხოლმე. საკუთარი თავგადასავალი ერთმანეთისთვის უკვე ყველას მოყოლილი აქვს. ამბები ერთმანეთის მსგავსია - ყველანი იძულებულები გახდნენ ერთ დღეს საკუთარი სახლი და ოჯახი მიეტოვებინათ - მიეტოვებინათ იმისათვის, რომ გადარჩენილიყვნენ. მაგრამ ამის თქმა მხოლოდ დღეს გაბედეს. ამასვე ეუბნებიან ისინი სხვა ქალებს, რომლებიც ძალადობას ამ დრომდე ითმენენ.

„თავის თავს ჰკითხონ, რისთვის ან ვისთვის ითმენენ? იმდრო, რომ მე ჩემს შვილებს ამ მოთმენით არაფერი შევძლებ, პირიქით, ღატაკი. ეს რა ბავშვია, როცა არს ნარკოტიკი უპარბათი, არს ჯანმრთელობა. ჰირით ვიხსოვრებ, ცოტა გავაჩაბა და თავის ღრობა წაშორსულიყავი...“

„არავინ არ უნდა მოითმინოს! როცა თავიდანვე, პირველივე შემთხვევა მოსვლა კალაქის, პროტესტის ბრძოლა გახდება უნდა გაიჩინოს“.

„უნდა ბაღალა ეს ნაბიჯი დამოუკიდებლობისაკენ ღრუჭავდეს, საკუთარი თავის ღირსება იცოდეს, არ შევამინდეს, გააქვს...“

„ჩემს თავს ვერ ვხედავ, საკუთარი აზრი არ მქონდა. გააქვს, თავის თავს იკრძინებ. ახლა უკვე ვიცი, რა უნდა გავაკეთო, საით წავიქვინ“.

ეს ძალადობის მსხვერპლი ქალების გზავნილია ყველასთვის, ვინც შიშისა თუ სხვა მიზეზთა გამო ოჯახის დანგრევას ვერ ბედავს.

ისტორია 1

ლილი, თავისი ორი ქალიშვილით, თავშესაფარში ცხოვრობს. ოთახში კარადა, სანოლები, მაგიდა და სკამები დგას. აქვეა მათი პირადი ნივთები. თავშესაფარში ოქტომბრის შემდეგ ცხოვრობენ. ღამის გათევა მეზობლის ოჯახში, სახლიდან გაქცევა - საკმაოდ ხშირი ამბავი იყო. ქმარი სვამდა, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშე კი, ყოველდღე ძალადობდა საკუთარ ცოლ-შვილზე. ლილი და გოგოები ძირითადად ღამით გარბოდნენ ხოლმე და სადაც მოუხერხებოდათ, თავს აფარებდნენ. თავშესაფარში მოსვლის პირველი დღე და ღამე ლილის თითქმის არ ახსოვს - ვინ შეხვდა, რა უთხრეს, ვინ დააპურა. სიმშვიდე იმდენად არაბუნებრივად მოეჩვენა, რომ საფრთხეს ყოველ წუთს, ყველა მხრიდან მოელოდა. მანამდე იყო თმენის 22 წელი



- სიფხიზლე ღამით იმის შიშით, რომ მას ან მის შვილებს მისივე მეუღლე რამეს დაუშავებდა:

„როგორც ჩემზე, ისე ამათზეც იყო ზნეოლა, ცემა, გინება, მუქარაც. ბანაობას გვიშლიდა ხოლმე. კი, ვინროდ ვცხოვრობდით, ერთ ოთახში, მაგრამ გოგონები რომ იბანდნენ, გარეთაც არ გავიდოდა ხოლმე, გადაბრუნდებოდა და ეს იყო მუდმივი სტრესი. სულ გვცემდა, სულ. ამას კლავდა, ერთხელ მიხრჩობდა. მე რომ მეზობელთან გავიქეცი, არ მომკლას-მეთქი, ამას მიუტრიალდა და ამაზე იყარა ჯავრი. მერე მეზობელს ვთხოვე, შეხედე, არ მომიკლას-მეთქი. ბოლოს ისე სცემა, ტვინის შერყევა დაემართა. ექიმთანაც ვერ ვამხელდით, გვრცხვენოდა, როგორ ვთქვა, რომ მამამ მცემა ამხელა გოგო, იძახდა. სულ ნევროპათოლოგი გვჭირდებოდა. ბოლოს გავბედეთ და ექიმს ყველაფერი ვუთხარით“.


საქართველოში ძალადობა ერთგვარი ტრადიციაა. კვლევების თანახმად, ძალადობის მსხვერპლთა უმეტესობა სოციალურად დაუცველია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძალადობის მსხვერპლი ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენელი შეიძლება აღმოჩნდეს. საქართველოში არაერთ ცნობილ ადამიანს უკავშირდება ძალადობასთან დაკავშირებული ისტორია, რომელსაც ოჯახიდან სასამართლოში გადაუნაცვლებია. რატომაა ის ჩვენი კულტურისა და ტრადიციის ნაწილი? პასუხი ამ კითხვაზე მარტივია-უფროსების დარიგება, რომელიც ასე უღერს: „განა ჩვენ არ ვჩხუბობდით, მაგრამ ოჯახს არ ვანგრევდით, ქალმა ოჯახის გამო ბევრი რამ უნდა აიტანოს; ამის დასადასტურებლად კი ცნობილი ქართული ანდაზა მოჰყავთ-ხოლმე: „ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო...“

ოჯახური მსხვერპლის დასაცავად საქართველოში მეზობლებიც კი არ იწუხებენ თავს, რადგან ოჯახი წმინდაა და ხელშეუხებელი. ყველა მხოლოდ მამის იწყებს საუბარს, როცა უბედურება ხდება და ქალს კლავენ. განსხვავებულია მიდგომა ევროპაში, სადაც ძალადობის მსხვერპლი დაცულია როგორც იქაურ საზოგადოებაში, ასევე კანონმდებლობითაც.

სახელმწიფო დასავლეთის ქვეყნებში ამ პრობლემის გადასაჭრელად ქალის გაძლიერებას ცდილობს. გაძლიერება ხშირად ნიშნავს, ქალს მისცე შესაძლებლობა ოჯახში თავის როლს რეალიზებული ქალის როლიც შეუთავსოს. ხანდახან ქალის გაძლიერება ერთი შეხედვით შეუმჩნეველ დეტალებში იმალება - ისე, როგორც ეს შვედეთში ხდება:

როცა იქ მოთოვს ხოლმე და მძიმე მეტეოროლოგიური პირობები იქმნება, პირველ რიგში, ინმინდება ტრანსპორტის ის გაჩერებები და ის გზა, ზოგადად, რომელიც საბავშვო ბაღებამდე მიდის. იცით, რატომ? - ამ ქვეყნის მთავრობამ გააანალიზა, რომ ეს არის ქალებისთვის არსებითად მნიშვნელოვანი. მე თუ ვერ წავიყვან ბავშვს ბაღში თოვლის გამო, ვერ წავალ სამსახურში, თუ ვერ წავალ სამსახურში, ვერ მივიღებ ჩემს ფინანსებს, არ მექნება ფული, ვიქნები აბსოლუტურად დამოკიდებული ვინმეზე, არარაობა... ეს არის სენსიტიური მიდგომა და არა ის, რომ პოლიცია უნდა მოძიოზღდეს ან ...

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილი



სამინისტრომ დედოფლისწყაროს ტყის ინვენტარიზაციის ანგარიში წარადგინა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ კახა კაკაბაძემ, პროექტის „ტყის მდგრადი მართვა დედოფლისწყაროსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში“, მიმდინარე ანგარიში მოისმინა. ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

პროექტი „საქართველოს სოფლის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტი, რომლის ჯამური ბიუჯეტი 482 000 ლარს შეადგენს, 2022 წლის სექტემბერში დასრულდება.

როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ კახა კაკაბაძემ აღნიშნა, პროექტის ფარგლებში, დედოფლისწყაროსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში 77, 537 ჰა ფართობზე ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები განხორციელდა.

„მომზადდა ტყის მართვის გეგმები. აღსანიშნავია, რომ ინვენტარიზაციის სამუშაოებზე დასაქმებული იყო

26 ახალგაზრდა მეტყვე-ტექსატორი. სატყეო სექტორში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, მომავალშიც არაერთი მნიშვნელოვანი პროექტია დაგეგმილი“, - აღნიშნა კახა კაკაბაძემ.

უწყების ინფორმაციით, გარდა აღნიშნულისა, პროექტის „ტყის მდგრადი მართვა დედოფლისწყაროსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში“ ფარგლებში, ლაგოდეხის „საქმიანი ეზო“ მზის ენერჯის პანელებით აღიჭურვა.

ევროკავშირის წარმომადგენლობის პროგრამების ხელმძღვანელის, ქეთი ხუციშვილის განცხადებით, ევროკავშირი საქართველოში წლებია მრავალი მიმართულებით მუშაობს; ერთ-ერთია სწორედ ის მხარდაჭერა, რომელსაც გაეროს განვითარების პროგრამის მეშვეობით, ეროვნული სატყეო სააგენტო იღებს და რომელიც გულისხმობს ტყის ინვენტარიზაციას და ტყის მართვის გეგმების შემუშავებას. მხარდაჭერა ევროკავშირისა და საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური მოლაპარაკების ფარგლებში ხორციელდება.



ანგარიშის განხილვას გაეროს განვითარების პროგრამის, ევროკავშირის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ორდღიანი ფორუმი ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის

სასტუმრო „მორთიარდ გარიოტი თბილისში“ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა მონაწილეობით ორდღიანი ფორუმი გაიმართა.

ფორუმში მონაწილეობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა სამუკაშვილმა და მერიის უფროსმა სპეციალისტმა თამარ გოგილაშვილმა მიიღეს.

ფორუმის წევრებმა ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერების მიმართულებით საჭირო ძალისხმევის შესახებ შეხვედრებები გამოთქვეს და მმართველობის ყველა დონეზე ინტენსიური დიალოგისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მხრივ მათი, როგორც ათეა-ს წევრების მოლოდინები გააზიარეს.

სესია დაეთმო ადამიანის უფლებების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მნიშვნელობის, საერთაშორისო კარგი პრაქტიკებისა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მრავალდონიან მმართველობაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების აქტიური ჩართულობის განხილვას.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებების ხელშეწყობის მიზნით, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესმა, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან და საქართველოს ცამეტ მუნიციპალიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

2021 წლის დეკემბერში ათეა-ს პრეზიდენტთან და თბილისის მერთან - კახა კალაძესთან ერთად დოკუმენტებს ხელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, ასევე ჩოხატაურის, ოზურგეთის, წყალტუბოს, ზესტაფონის, ბოლნისის, დმანისის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, ონისა და ბორჯომის თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელმა პირებმა მოაწერეს.



2000 ლარი 200-ის ნაცვლად - მძღოლებისთვის დარღვევებზე ჯარიმები იზრდება



პარლამენტმა პირველი მოსმენით განიხილა და 81 ხმით, ერთხმად, მხარი დაუჭირა საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატან ცვლილებებს.

ცვლილებების ნაწილი სიჩქარის გადაჭარბებისთვის გათვალისწინებული ჯარიმის ზრდას შეეხება. კერძოდ, სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 40 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით, ნაცვლად 150 ლარისა.

ცვლილებები შეეხება ხმაურის რეგულირების საკითხსაც. ერთი მხრივ, მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება ხმაურის დასაშვები დონე. მეორე მხრივ კი, ისეთი სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაური აღემატება დადგენილ ნორმებს, გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით და მართვის მონებში ქულებს 10 ქულა დააკლდება.

ცვლილება შეეხება ე.წ. დრიფტების აკრძალვას. კერძოდ, ავტომობილის განზრახ მოცურება/მოსრიალება ან/და მოცურებით წრიული ბრუნვის განხორციელება ე.წ. დრიფტი, გარდა კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარებულ პროფესიულ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისას, გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით და 30 ქულის დაკლებას. თუ აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენას მოჰყვება სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, ჯარიმის ოდენობა იქნება 500 ლარი.

კანონპროექტი დამუქებული მინების და ციმციმა სიგნალების დადგენილი წესის დარღვევით გამოყენებასაც შეეხება. კერძოდ, იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის მინები დამუქებულია ან მათი შუქგამტარობა შეზღუდულია დადგენილი წესის დარღვევით, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით 50-ის ნაცვლად, ხოლო ციმციმა სიგნალების გამოყენება დადგენილი წესის დარღვევით, გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, ნაცვლად 200 ლარისა.

კანონპროექტების ინიციატორია საქართველოს მთავრობა.

სამუშაო შეხვედრები სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლებისთვის

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი აგრძელებს პროექტის - „შეფასება განვითარებისათვის“ — ფარგლებში საქართველოს სკოლების დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის სამუშაო შეხვედრების გამართვას.

19-23 სექტემბერს ცენტრის წარმომადგენლებმა შეხვედრები ამჯერად გურჯაანის, საგარეჯოს, თელავის, ახმეტის, სიღნაღის, დედოფლისწყაროსა და ლაგოდეხის საჯარო სკოლებში გამართეს. შეხვედრის მონაწილე სკოლების მასწავლებლებმა და დირექტორებმა პროექტის ხელმძღვანელთან ეკა ჯვალაძესთან ერთად საცდელი ტესტირების შედეგები კიდევ ერთხელ განიხილეს, აგრეთვე მიიღეს დეტალური ინფორმაცია ანგარიშის ელექტრონულ პლატფორმასთან და მის სპეციფიკასთან დაკავშირებით. მსგავსი სამუშაო შეხვედრები უკვე შედგა დასავლეთ საქართველოს სკოლების წარმომადგენლებთან.

ელექტრონული პლატფორმის გამოცდის მიზნით პროექტის ფარგლებში ბოლო, ფართომასშტაბიანი საცდელი ტესტირება მისიში ჩატარდა მთელი საქართველოს მასშტაბით 500-ზე მეტ საჯარო სკოლაში. როგორც ქართულის, ისე მათემატიკის ტესტი საცდელი ტესტირების თითოეულ დღეს 5000-იდან 7000-ამდე მოსწავლემ შეასრულა. მოსწავლეებმა და მშობლებმა, ასევე მასწავლებლებმა და დირექტორებმა, დიაგნოსტიკური შეფასების შედეგების შესახებ დეტალური ინფორმაცია უკვე მიიღეს. ელექტრონული სისტემისა და, კერძოდ, ანგარიშის მოდულის უკეთეს გაგნობის მიზნით შეხვედრები პროექტში ჩართული სხვა სკოლებისთვისაც გაიმართება. ინფორმაციას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ავრცელებს.

„თურმე იმ ღამეს დაიწადა გაცოცხლონი...“

„გიორგობის თვეა. ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში, ნაბლის ხისგან ნაგებ და ყვარით გადახურულ ვასილ ტაძრისა და მაკრინე ადგიშვილის ოდაში სასწაული მოხდა! რიცხვა 17-სა, გამთენიისას მთელმარე მთვარემ ადრე აიკრიფა გულა-ნაბადი და ასკინკლით მსტუნავ, კაპკაშა მზეს ასპარეზი დაუთმო. და, აი, ისიც, ცელქმა სხივებმა სარკმლის მიღმა შეაღწიეს, ახალ-შობილ ჩვილს მიეღაცინენ, გულში ჩაიხუტეს და მერე ეს ამბავი გალაკტიკას შეატყობინეს. ვარსკვლავებმა ჩვილს ზეციური მირონი სცხეს, დედამ, უფლის შეგონებით გალაკტიკონი დაარქვა და ასე იმეა პოეტთა მეფე...“
ამ სიტყვებით დაიწყო 5 ოქტომბერს



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამართული ღონისძიება სპეციალურად მოწვეულმა სტუმარმა, ნინო რეხვიაშვილმა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის აკადემიკოსმა, საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, 17 ნიგნის ავტორმა, რედაქტორმა და თანაავტორმა, მან შეკრებილ საზოგადოებას გალაკტიკონის ცხოვრების ეპიზოდები წარუდგინა. საღამო ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნანა ჭიჭინაძის ინიციატივითა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელთა თამაზაშვილი, მერიის კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის უფროსი მამუკა ყაყრელიშვილი, ხელოვნების სკოლის, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები, მათ შორის ცნობილი მსახიობი - გივი სიხარულიძე. შეხვედრის პროდიუსერი იყო ციცო ერისთავი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.



საოცარი სევდით, ამავდროულად სიხარულით, ბევრი უცნობი დეტალითა და ემოციებით დატვირთული ეპიზოდები წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას ნინო რეხვიაშვილმა. მსმენელისთვის გალაკტიკონის ცხოვრების რთული და ეკალ-ვარდით მოფენილი გზის სრული სიცხადით აღქმას, მისი ხმის ტემბრი ნამდვილად უწყობდა ხელს. პოეზიის მეფის საოცარი წინააღმდეგობით აღსავსე ცხოვრებას გულგრილად ვერც ამჯერად შეხვდა მკითხველი. მსმენელთა შორის სევდის, მწუხარების და სინანულის კურცხალიც გაკრთა, რომელიც გალაკტიკონის კიდევ ერთხელ, კვლავაც მოგვიანებით გაგაყოლებთ თან. სიტყვით გამომსვლელებმა: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის მენეჯერმა მანანა მაჭარაშვილმა, გაზეთ „მირაჟის“ დირექტორმა ინგა შილაშვილმა, სასწავლო ცენტრ „საპეტრის“ დირექტორმა ნუნუ ცუკაშვილმა, თამარ თამაზაშვილი და კულტურის სფეროს წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ორგანიზატორს, ნანა ჭიჭინაძეს, ასეთი საინტერესო და

გულში ჩამწვდომი ღონისძიებისთვის. მათ კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი გალაკტიკონის დიდებული შემოქმედების ძალას, მის გავლენას დღევანდლობაზე. გარდა ამისა, დამსწრე საზოგადოებამ გალაკტიკონის შთამომავლებთან დაუვიწყარ კავშირსა და მოგონებებზეც ისაუბრა, თუ როგორი წარუშლელი კვალი დატოვა გალაკტიკონის შემოქმედებამ არამარტო მათში, არამედ ეპოქაზეც.

ღონისძიების დასასრულს, ნინო რეხვიაშვილმა დედოფლისწყაროს კლინიკის მენეჯერს, ხათუნა აგლაძეს საქართველოს მნიგნობართა ასოციაციის დიპლომი გადასცა, ნომინაციაში „საქართველოს ცოცხალი განძი“, რომელიც მას 19 სექტემბერს, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ დაჯილდოებაზე უნდა გადასცემოდა, მაგრამ დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ვერ დაესწრო შეხვედრას. აღსანიშნავია, რომ ამ დაჯილდოებაზე ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარემ მანანა გვასალიამ, პირადად დააჯილდოვა კიდევ ორი გამორჩეული დედოფლისწყაროელი: სასწავლო ცენტრ „საპეტრის“ ხელმძღვანელი ნუნუ ცუკაშვილი და დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე და დამსახურებული ჟურნალისტი ნანა ჭიჭინაძე. ღონისძიების სპონსორი გახლდათ, საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი სხვადასხვა ნომინაციაში, პროფესიონალი მძღოლი დავით ტოკლაკიშვილი.

წარმომადგენთა ნინო რეხვიაშვილის ნიგნოდან „ჩემი გალაკტიკონი“ მცირე ამონარიდებს პოეზიის მეფის ცხოვრებიდან: **„გალაკტიკონი უცნაური ბავშვი იყო. ერთხელ პატარა პოეტი დედამის მარტო დაუტოვებია ოთახში და როდესაც მაკრინე უკან დაბრუნებულა, დაუნახავს, როგორ კოცნიდა გალაკტიკონი ფანჯრის ჭრილობაში შემოპარულ მზის სხივს. გაკვირვებულ დედას ხმამაღლა უთქვამს: „რას შერები გატუნია?“ გალაკტიკონს შერცხვინა და დედის კალთაში ატირებულა. ასეთი უცნაური პიროვნება იყო ის ბავშვიდან. ამიტომაც, დედა წერილებში მუდამ ასე სწერდა: „ჩემო ფიქრებიდან მოუშორებელი, სხვადასხვანაირად სადარდებელი შვილი“. აბესალომს კი სწერს: „შენ გაბარებ გალაკტიკონს, ხომ იცი რა ძნელი მოსაველია. ხალხში ნუ გაუბრაზდები, მარტო რომ იქნება, მაშინ დატუქსე, თორემ მეშინია, რამე არ აუტყვის თავს“.**

გალაკტიკონის ყოველთვის ნაცრისფერი, ფართოხედა ლაბადა და საკმაოდ მელანჟული თეთრი ტილოს კიტელი ეცვა. ერთხელ იგი წყნეთში, კონსტანტინე გამსახურდიას შეხვდა. დიდხანს ისაუბრეს. ბოლოს კონსტანტინემ უთხრა: „გალაკტიკონ, შენ დიდი ეს-თეტი ხარ ქართულ სიტყვაში და რატომ არ აქცევ ყურადღებას შენს ჩაცმულობას?“. გალაკტიკონმა გადაიხარხარა და უპასუხა: კონია, შემოხედე ამ თითებს, ეს 5 თითი მე დავაძე პოეზიას და 50 წლის შემდეგ ჩემი პოეზიის თაყვანისმცემლებისთვის მგონი სულ ერთი იქნება, რა მაცვია დღეს. პოეზია მარადიულია, ჩაცმულობა მასთან რა მოსატანიაო?“. *******

„შიან ქარად იქცა ცქერა, ქარის ბეგა იქცა ქანადა-წყენადა, წენანადა, მწამს და მჯერა, ბედისწერა გვიხსნის მარად.“ *******

გალაკტიკონ ტაბიქის საკმაოდ მძიმე და დრამატული ცხოვრება ჰქონდა. გალაკტიკონისთვის ზეგარდმოვლენილ სასწავლოდ აღიქმება მისი ეს მანიაკალურად ეჭვნეული ხასიათი, მან მთელი ცხოვრება უმეგობროდ გაატარა. ახლობელთაგან მხოლოდ დედის, ძმისა და ძმისშვილის-ნოდარის ერთგულებაში არ ეპარებოდა ეჭვი. გალაკტიკონი ყოველთვის უცნაურებით გამოირჩეოდა. ამტკიცებდა, მზიდან ჩამოველიო. კეთილი იყოს, ამ ხვედრს სხვებისთვისაც იმეტებდა, მთელ კლასზე ამბობდა, მზიდან ჩამოსულები ვართო. უყარათო იყო. დღიურში წერს: „სიბრძნე არ არის, მე ფული არ მქონდეს?“ ფული არ ჰქონდა, მეგობრები არ ჰყავდა, უკვე 1915 წელს სახელოვანმა ბიძაშვილმა, ტიცინამ „მარტოობის ორდენის კავალერი“ უწოდა. არაფერი არ ჰქონდა, არავინ არ ჰყავდა, სამაგიეროდ მტრები ჰყავდა იმდენი და ისეთი, „მას რომ ეკადრებოდა“.

პოეტური ნიჭი გალაკტიკონმა ადრეულ ასაკში გამოავლინა. 1908 წელს ჟურნალ „კვალში“ მისი პირველი ლექსი „შავი ღრუბელი“ იბეჭდებოდა. ექვსი წლის შემდეგ, მან უკვე კრებული გამოსცა. მისმა ლექსებმა თანდათან მთელი ქვეყანა დაიპყრო. 1914 წლიდან გალაკტიკონი ზედიზედ რამდენიმე შედევრს ქმნის. ქუთაისში პოეტს თავისი მასწავლებლის რაფიელ ჩიხლაძის ქალიშვილი - რაისა შეუყვარდა. სიყვარული ხანმოკლე აღმოჩნდა. რაისა სასწავლებლად კიევში გაემგზავრა და იქვე გათხოვდა. პირველ სიყვარულს გალაკტიკონმა „უსიყვარულოდ“ მიუძღვნა.



კომუნისტებთან გალაკტიკონს ნათესაური კავშირი ჰქონდა. მეუღლე - ოლღა ოკუჯავა ცნობილი ბოლშევიკის, საქართველოს „ცეკას“ პირველი მდივნის მიხეილ ოკუჯავას და იყო. ისინი ჯერ კიდევ რევოლუციამდე შეუღლდნენ. სწორედ ოლღას მიუძღვნა პოეტმა თავისი ცნობილი ლექსი „მზეო თიბათისა“. ამ ლექსით გალაკტიკონმა ოლღა მოსკოვში გააცილა. პოეტი თიბათის მზეს მეუღლის დაცვას სთხოვდა: **„მზეო თიბათისა, მზეო თიბათისა, ღოგად მუსლიმური გრაალს შეგვრები, იგი ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით ფრთხილ დაიფარე ამას კვემარები“.** მეტეხის ციხეში პოეტი სამი დღე იმყოფებოდა. საპყრობილედან ტაბიქე მეცველი გამოვიდა. როგორც ტაბიქის თანამედროვეები ამბობენ, გალაკტიკონს ციხის შემდეგ, საკუთარი, ნამდვილი ხმით აღარ ულაპარაკია. *******

გალაკტიკონმა თავისი ერთ-ერთი შედევრი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ ისე დანერგა, რომ ნიკორწმინდა ერთხელაც არ ჰქონდა საკუთარი თვალთ ნანახი. მისი მშვენიერების შესახებ გალაკტიკონმა მხოლოდ სხვისი მონათხრობით იცოდა. გალაკტიკონი ამბობდა, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც მას გოგლა ლეონიძე გამოჩნდებოდა უყვარდა „ცისფერყანწველიდან“ იყო ის, რომ მას ჩემზე არასდროს უთქვამს ლოთიაო. გალაკტიკონი წერის გარდა, ხატავდა კიდევ. ალბათ, ცოტა თქვენგანისთვისაა ცნობილი, რომ მას 1200-ზე მეტი ნახატი ჰქონდა და უყვარდა თავისი ნაცნობების კარიკატურების დახატვა. ისეთ დიდ პოეტს, როგორც გალაკტიკონი იყო, არასდროს ჰქონია საკუთარი საცხოვრებელი...იგი ხან მწერალთა კავშირში ცხოვრობდა, ხან კი სხვას იყო შეფარებული. არაერთხელ სთხოვეს „ცისფერყანწველებმა“ თავიანთ ორდენში განევრიანება, რაც მისთვის მცირეოდენი შემოსავლის წყარო იქნებოდა, თუმცა, გალაკტიკონი მუდამ უარს ამბობდა, რაც მისი მარტოობის სურვილით იყო გამოწვეული. *******

„...ნაშენი ჭყვიშის მთა ზოგინა წყნადას ხილინი. თუხამ იმ ნაშენი ღაიბაჟა გააქსილინი...“

გალაკტიკონი და კონსტანტინე თორემ ნალერში ისვენებდნენ. კონსტანტინე გალას ყოველთვის ასე ესალმებოდა: **„გამარჯობა, ლომო! გალა პასუხობდა: „გამარჯობა, ვეფხვო! ასე გრძელდებოდა კარგახანს. მოსწყინდა კონსტანტინეს ვეფხვობა. სულ ეს რატომ უნდა იყოს ლომო და ერთ მშვენიერ დილას ასე მიესალმა: „გამარჯობა, ვეფხვო! გალაკტიკონმა უპასუხა: „გამარჯობა, კონია!“ *********

გალაკტიკონს ერთხელ პირობა მიუცია საკუთარი თავისთვის - დუქანს ისე ავეული გვერდს, რომ არ შეეღვ და ღვიზის არ დაეღვეო...მართლაც, აუვლია გვერდი და რამდენიმე ნაბიჯით რომ გაცდა დუქანს, მოტრიალდა და უთქვამს - რადგან პირობა შეასრულე, ღირსი ხარ, შეხვიდე და ერთი ჭიქა ღვინო დალიოო... *******

გალაკტიკონის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართა აზრით, პოეტი შეენირა იმ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომელიც მის გარშემო ტრიალებდა. მას სხვანაირი მოვლა და მოპყრობა სჭირდებოდა, მის მიმართ კი ხშირ შემთხვევაში შური და მტრული განწყობა იყო. 1937 წელს ერთ-ერთმა ცნობილმა პოეტმა თქვა: „გალაკტიკონი ნაციონალისტი მწერალია და მას თავისი ადგილი უნდა მიუღწიონო“. ამ დროს გალაკტიკონი შიმშილობდა, მას მოგონებებში აქვს ნათქვამი: „რას არ გაგაკეთებინებს



შიმშილი, დღეს მეკუბოვეებთან ერთად ვისადილე“, ზამთარი მოვიდა და პალტო არ მაქვს, იქნებ გამომიყოთ პალტო, რომ ზამთარში ჩავიცვა“, „ტრამპის ფული, 30 კაპიკიც კი არ მაქვს, რომ მწერალთა კავშირში მივიდე და ვინმეს ფული ვესცხო, რადგან სამი დღეა საქმელი არ მიჭამია“. ის ბიბლიოთეკაში შედიოდა, რათა გამთბარიყო, როგორც შემდეგ იხსენებს, „ნიგნე ვკითხულობდი და ვცდილობდი, საქმელზე არ მეფიქრა“. მისი ცხოვრება უმძიმესი იყო - ცოლი დაუხვრიტეს, მისი მურდათ, მტრობდნენ, ნაციონალისტობა დასწამეს, რადგან საკუთარი ქვეყანა უყვარდა. გალაკტიკონი ძალიან ეჭვიანი ადამიანი იყო. ყველგან მტრის ხედავდა. როგორც მერე აღმოჩნდა, არც თუ უსაფუძვლოდ. როცა არქივები გაიხსნა, არაერთი ცნობილი პოეტის სახელი და გვარი იყო დაფიქსირებული, რომლებიც დასმენებში იყვნენ გარეუღნი. *******

გალაკტიკონის სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა, რომელიც მალევე, 15 აპრილს დაიხურა, მინანქრით - „მოისპოს“. გალაკტიკონი 1892 წლის 17 ნოემბერს დაიბადა, 1959 წლის 17 მარტს 67 წლის ასაკში გარდაიცვალა. ხედავთ? ციფრი შვიდი მის ცხოვრებაში რაოდენ მნიშვნელოვანია? საბედნიეროდ და საბედისწეროც...ამდენი შვიდიანების მიუხედავად, მან შვიდ ათეულ წლამდე ვერც იცოცხლა... *******

გალაკტიკონი - ამ სახელის წარმოქმნა უკვე საკმარისია, რომ ყველა ქართველის გონებაში პოეზიის მეფე, გალაკტიკონ ტაბიქე ამოტივტივდეს. მიუხედავად მისი გენიალურობისა, ის მთელი ცხოვრების განმავლობაში სულიერად მარტო იყო. ამაზე მისი დაუსრულებელი ლექსიც მეტყველებს:
„უპირველესი მომანიჭეს დაფნა მუფთა, იმ დღეს მოვიდა თეთრი თოვლი და მარტობა. გაუაღე კარი, თეთრი თოვლი შემოიშვეფა მიფსურე კარი, მარტობამ დაისადგურა.“
უშუშნა ყანაწვილი

«პიზრუნოთ ბარემოზა, უპქენათ მოგაგალი ჩვენთის, თქვენთის და მოგაგალი თაობებისთის»

ახალგაზრდული გარემოსდაცვითი კონკურსი „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია“ -2015 წელს დაარსდა CENN-ის მიერ, პროექტის „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ ფარგლებში, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის /Austrian Development Cooperation ფინანსური მხარდაჭერით. კონკურსის თანაორგანიზატორები არიან:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- საქართველოს პარლამენტი.



დაარსებიდან დღემდე კონკურსში მონაწილეობა მიიღო 1,000-ზე მეტმა სკოლამ. „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია“ - ეკოკლუბების კონკურსია. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ პროექტი არა მხოლოდ გამორჩეული ეკოკლუბების, ცალკეული მასწავლებლებისა თუ მოსწავლეების გამოვლენისა და დაჯილდოების შესაძლებლობას იძლევა, არამედ არის სკოლებისათვის ახალი შესაძლებლობების, ცოდნის მიღებისა და ორგანიზაციული განვითარების უწყვეტი პროცესი კონკურსის მთავარი ფასეულობებია: პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება გარემოსადმი, სოლიდარობა და თანამშრომლობა; კონკურსის მთავარი მიზანია, სკოლის მოსწავლეებს მიაწოდოს ინფორმაცია მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ და დაანახოს საკუთარი ხელით ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობები ბუნებრივი და სოციალური გარემოს გასაუმჯობესებლად. კონკურსში ჩართული პირები თავად ხდებიან მდგრადი განვითარების პროცესის მონაწილე.

ახლახანს „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის“ 2022 წლის გამარჯვებულები გამოვლინდნენ. ფინალური შეხვედრის მონაწილე საქართველოს 32 სკოლის ეკოკლუბის წარმომადგენლებმა ყიუურისა და მონვეულ სტუმრებს ის მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობები წარუდგინეს, რომლებიც თავიანთ ქალაქებსა თუ სოფლებში წლის განმავლობაში განახორციელებს. როგორც წინა წლებში ვნერდით, კონკურსის ფინალში დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლაც მონაწილეობ-

და, რომელმაც განათლების სამინისტროს რჩეულის ნოდებაც მოიპოვა და სხვადასხვა პრიზებითაც დაჯილდოვდა. გარდა ამისა, ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის საამაყოდ „მწვანე ჯილდოს“ მფლობელი მასწავლებელი სწორედ №2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი და ეკოკლუბ „შექმენი მომავლის“ ხელმძღვანელი ნონა ტოკლიკიშვილი გახდა. დღევანდელი ჩვენი სტატიის მთავარი გმირიც სწორედ ის გახლავთ, რომელიც იმ განვლილ თუ გასავლელ გზაზე,

მიღწეულ შედეგებზე, მოლოდინებსა თუ შთაბეჭდილებებზე გვესაუბრება, რაც მათ „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიამ“ მოუტანათ.

ქალბატონო ნონა, უპირველესად გილოცავთ თქვენ და თქვენი სკოლის ეკოკლუბს „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის“ ფინალში მონაწილეობას. ზოგადად, რას ნიშნავს თქვენთვის „ნიკო კეცხოველის პრემია“, მისი ფინალისტობა და რატომაა მასში მონაწილეობა განსაკუთრებით საინტერესო?

2018 წელს მე და ჩემი ეკოკლუბი „შექმენი მომავალი“ აქტიურად ჩავერთეთ ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიაში. მისი ფორმატიდან გამომდინარე, არაერთი აქტივობა დავეგეგმეთ და განვახორციელეთ მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინებით. წელს წარმატებულად გადავლახეთ ნახევარფინალი და ასევე ღირსეულად მოვხვედით ფინალშიც. მართალია, საპრიზო ადგილი ვერ დავიკავეთ, მაგრამ ჩვენ მიერ განხორციელებული აქტივობების მიხედვით განათლების სამინისტროს რჩეულ სკოლად დაგვასახელეს, გადმოგვეცა 500 ლარიანი „მეგატექნიკის“ სასაჩუქრე ვაუჩერი. განსაკუთრებით ამალელებელი იყო ჩემთვის ის ფაქტი, რომ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ დაწესებული „მწვანე ჯილდო“ გადმომეცა. ჯილდოსთან ერთად, ამ კონკურსში მონაწილეობა ჩემთვის და ეკოკლუბისთვის კიდევ უფრო მეტი მოტივაციაა, რომ არ გავჩერდეთ, ვიზრუნოთ გარემოზე და შევექმნათ მომავალი ჩვენთვის, თქვენთვის და მომავალი თაობებისთვის.

-თქვენ როგორც ამ კონკურსის უკვე გამოცდილი მონაწილე, რა

ნიუანსებს გამოყოფდით, რაც თქვენი ეკო კლუბის როგორც პლუსებზე, ასევე მინუსებზე მიანიშნებს? რითი ამაყობთ და რის გამოსწორებას ისურვებდით?

ამ კონკურსმა ბევრი რამ გვასწავლა მე და ჩემს ეკოკლუბს. გარკვეული გამოცდილებაც დაგვიგროვდა. ეს პროექტი არა მხოლოდ გამორჩეული ეკოკლუბების, ცალკეული მასწავლებლების თუ მოსწავლეების გამოვლენისა და დაჯილდოების შესაძლებლობას იძლევა, არამედ არის სკოლებისთვის ახალი იდეების, ცოდნის მიღებისა და გაზიარების, პიროვნული განვითარების უწყვეტი პროცესი. ჩემი ეკოკლუბის ძლიერი მხარე და ძირითადი ფასეულობაა, რომ გარემოსადმი გავხდით უფრო პასუხისმგებლიანები, ვისწავლეთ სოლიდარობა და თანამშრომლობა. ნაკლს ვერ დავარქმევ, მაგრამ შემდეგში, გვსურს, რომ გავაფართოვოთ ჩვენი მოქმედების არეალი და არა მხოლოდ სკოლის, არამედ თემის, საზოგადოების განვითარებაზე ვიზრუნოთ. საამაყო კიდევ ის, რომ საუკეთესო გუნდი მიდგას მხარში, მოსწავლეები, მასწავლებლები და სკოლის დირექცია, რომელთა მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელია წარმატების მიღწევა.

-აქტიურად ხართ გარემოსდაცვით საქმიანობაში ჩაბმული და თქვენი მოსწავლეებიც თქვენს სულისკვეთებას იზიარებენ. რა არის თქვენი მთავარი მოტივატორი?

ვცდილობ, აქტიურად ვიყო ჩართული სასკოლო თუ მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. ჩემთვის პრიორიტეტული გახდა გარემოსდაცვითი საქმიანობები. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიკოსი ვარ, ეს არ ყოფილა ხელისშემშლელი, მთავარია, გარემოსდაცვითი აქტივობები იყო პასუხისმგებლიანი. მოტივატორი კი ქვეყნის სიყვარულია, რასაც ისე უნდა ემსახურო, რომ მხოლოდ მისგან კი არ მოითხოვო, უნდა გაითავისო, რომ შენ თვითონ სარგებელი მოუტანო ქვეყანას. ამასვე ვუნერგავ მოსწავლეებს.

-აუცილებლად უნდა მოგილოცოთ, „მწვანე ჯილდოს“ მოპოვება. ის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა გადმოგცათ, როგორც გამორჩეულ მასწავლებელს. რას ნიშნავს თქვენთვის ეს ჯილდო? ელოდით თუ არა ამ ნომინაციაში თქვენს გამარჯვებას?

დიდი მადლობა, არ ველოდი ამ ჯილდოს, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ თავი არ დამიზოგავს. საოცარი პროცესი გამოვიარეთ. რასაც ვაკეთებდით, ეს სიამოვნებას გვანიჭებდა, ვისწავლეთ, ვასწავლეთ სხვებსაც და ყველაზე მთავარი, ჩემი ეკოკლუბები უნდა ნახოთ, არ ნებდებიან, სანამ საპრიზო ადგილს არ დაიკავენ და ყველა გამოწვევას ღირსეულად უმკლავდებიან და გაუმკლავდებიან, ეს კი ვფიქრობ, ჯილდოზე უკეთესია.

-მინდა, თქვენი ეკოკლუბის სამომავლო გეგმებზე გკითხოთ. რა სახისლებით დაიწყეთ ახალი სასწავლო წელი?

ჩვენი ეკოკლუბის ცნობადობა უფრო გაიზარდა. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ წლებია ვთანამშრომლობთ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებთან, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ ბავშვების ხარისხიან განათლებაზე, მონაწილეობას ვიღებთ ქურციკების მონიტორინგში, მათი ორგანიზებით ხშირად საბუკოსა და CENN-ის მიერ დაგეგმილ აქტივობებში ვიღებდით მონაწილეობას. ეს გვეხმარებოდა ამ სფეროს უკეთ შესწავლაში. სხვების ხარისხიანი განათლებისთვის კი ახალგაზრდული იდეის დაფინანსებით საგანმანათლებლო თამაში შევექმენით „ქურციკის მოგზაურობა“. ვაპირებთ, მომავალშიც გავაგრძელოთ ამ კუთხით აქტიურობა. იმის გამო, რომ წლებიანდელი წელი ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლის წლად გამოაცხადეთ, ჩვენი სამომავლო გეგმებიც ისევე ქურციკს უკავშირდება, უფრო დანერგვით, კი ჩვენი სამომავლო გეგმების შესახებ გუნდის პრეზენტაციას ვაპირებთ, სადაც გავაუღწერებთ დანერგვით ინფორმაციას.

-თქვენ როგორც პედაგოგი და ამ კლუბის ხელმძღვანელი რას ურჩევთ იმ ბავშვებს ანდაც ეკოკლუბებს, რომლებიც ჯერ არ ჩართულან ამ კონკურსში? რატომ უნდა სცადონ მონაწილეობის მიღება? რას მისცემთ მათ ეს კონკურსი?

„ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია“ ერთ-ერთი საუკეთესო პროექტია. მასში მონაწილეობა და ეკოკლუბის ფუნქციონირება სკოლაში არაფორმალური და სამოქალაქო აქტივიზმის კარგ საფუძველს ქმნის. ამიტომ ვურჩევ ყველა სკოლას, ჩაერთოს ამ საინტერესო პროექტში. ჩვენი გამოცდილებით კი ვპირდებით, რომ დავეხმარებოთ და მეგზურობას გავუწევთ ახალ ჩართულ სკოლებს. მათი ჩართულობით, გამარჯვებითა თუ მხოლოდ მონაწილეობით უამრავი გარემოსდამცველი ეყოლება ჩვენ დედამიწას, რომელსაც შევლა ნამდვილად სჭირდება.

თქვენი გაზეთის საშუალებით, კიდევ ერთხელ მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს ერთგულ მხარდამჭერს, კახეთის სკოლების კოორდინატორს, კახაბერ სუხიტაშვილს. ხშირად ისეთი გამოწვევების წინაშე ვიდექით, გვქონდა ისეთი მომენტები, როცა ძალიან გვჭირებოდა მხარდაჭერა და მას არც ერთი წუთით არ მივუტოვებდით, ყოველთვის გვამხმარებდა. მადლობა თქვენც, გაზეთ „შირაჟის“ რედაქციას, რომ მუდმივად იზიარებთ ჩვენს წარმატებას და ახლაც გაიზიარებთ ჩვენი სიხარული.

გაზეთი „შირაჟი“ უამრავ წარმატებას უსურვებს მეორე საჯარო სკოლის ეკოკლუბსა და მის ხელმძღვანელს. საქმე, რომელსაც ისინი ემსახურებიან, ეს ნამდვილად მათი, ჩვენი, თქვენი მომავლის საქმეა. უნდა გვახსოვდეს, რომ სასურველ შედეგს მხოლოდ საერთო მიზნების ერთგულებით, შრომითა და ძალისხმევით მივაღწევთ. მადლობა მათ გაწეული შრომისა და ენერჯისთვის.

შუაშუნა ყანჩაშვილი

წიგნი-ცოდნის საბაღო

28-29 სექტემბერს, დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და ფონდ „არველადის“ ფინანსური მხარდაჭერით, 900-ლარიანი ვაუჩერით დაფინანსდა, რითიც მათ 55 წიგნი შეიძინეს. ვაუჩერების განაღდება 64-ივე ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში განთავსებულ 30-მდე გამომცემლობის და გამავრცელებლის სტენდთან შექლო.

6 ოქტომბერს, დედოფლისწყაროს მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა ახალი წიგნების პრეზენტაცია.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ - დედოფლისწყაროს საპატოო მოქალაქე, დავით ქართველიშვილი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი მამუკა ყავრელიშვილი, ადგილობრივი პრესის წარმომადგენლები და ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკის მენეჯერის მანანა მაჭარაშვილის განცხადებით, პროექტის მიზანი, საქართველოს რეგიონების ცენტრალური ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის უახლესი გამოცემებით ყოველწლიურად განახლებაა.



დედოფლისწყაროს „ანბელოზები“



ასე ჰქვია გომონათა საფეხბურთო გუნდს, რომელიც მონაწილეობს ილიას ალმოსავლეთ საქართველოს მოყვარულთა ლიგის სატურნირო გათამაშებაში (მწვრთნელია: ზურაბ ჩალაგავილი და გოჩა ანთაური).

მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს ქ.თბილისში შეხვედრა გაიმართა ახმეტის გოგონათა ნაკრებ გუნდთან. მოულოდნელი იყო ის თამაში, რაც ჩვენმა გოგონებმა აჩვენეს და სასტიკად დაამარცხეს მონინალმდეგე 4:0. კარგი თამაშით თავი გამოიჩინეს მცველებმა ანა ფიროსმანაშვილმა და ლიზი მჭედლიშვილმა, ნახევარმცველმა ანა ზირაქიშვილმა, რომელმაც საჯარიმო დარტყმა შორი მანძილიდან ზუსტად შეასრულა და მეორე ტაიმში ცენტრიდან სოლო სვლის შესრულების შემდეგ, მეორე გოლი გაიტანა. ასევე თიკა ცენტერაქემ ორჯერ აიღო მონინალმდეგის კარი. „ვულოცავ გამარჯვებულს და მომავალ კვირას კვლავ გამარჯვებულს ვუსურვებ ჩვენს გუნდს!“ - აცხადებს ზურაბ ჩალაგავილი.



„ღვინის დღეები“ საქართველოში

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საფუძველი ეყრება ახალ, ყოველწლიურ, ფესტივალს, რომელიც სრულად ეძღვნება ქართული ღვინის პოპულარიზაციას, ემსახურება ქართველი მეღვინეების სტიმულირებასა და ღვინის სამშობლოს პოზიციონირებას საერთაშორისო ბაზარზე.

„ღვინის დღეები“ იმართება ქვეყნის 25 ლოკაციაზე და მათ შორის კახეთის რეგიონის რვავე ქალაქში.

*9 ოქტომბერი - თბილისი, თელავი, ქუთაისი, ბათუმი, ოზურგეთი, მარნეული, მცხეთა, ბორჯომი.

- *10 ოქტომბერი - ამბროლაური, გორი.
 - *11 ოქტომბერი - დედოფლისწყარო, რაბათი (ახალციხე), თერჯოლა.
 - *12 ოქტომბერი - ლაგოდეხი, ცაგერი, სიღნაღი, ჯიღარა.
 - *13 ოქტომბერი - საგარეჯო, მარტვილი, ბაღდათი.
 - *14 ოქტომბერი - ბოლნისი, ახმეტა.
 - *15 ოქტომბერი - ყვარელი, გურჯაანი, ზუგდიდი.
- 11 ოქტომბერს თქვენ გელოდებათ:

- დედოფლისწყარო/კულტურის სახლის მიმდებარე სკვერი
 - 17:00—20:00 ქართული ღვინის დეგუსტაცია და გამოფენა-გაყიდვა.
 - 17:00—20:00 კვების სივრცე: დედას პური; მწვადი, ყველი, თაფლი, ტყლაპი, ჩურჩხელა; ადგილობრივი მზარეულების მიერ მომზადებული ტრადიციული კერძები.
 - 17:00—20:00 პურის ცხობა; ჩურჩხელის ამოვლება; ჭაჭის გამოხდა.
 - 17:00—20:00 სპეციალურად მოწყობილი საცეკვაო სცენა ცეკვის გაკეთილებებისთვის.
 - 17:00—20:00 საბავშვო გასართობი სივრცე.
 - 17:00—19:00 ფართი დეგუსტაცია - სამოყვარულო ღვინის კონკურსი.
 - 17:00—20:00 შემეცნებით-ისტორიული საგამოფენო სივრცე - ქართული ღვინის ისტორია.
 - 17:00—18:00 ქართული სუფრა ქალაქური სიმღერების აკომპანიმენტით.
 - 18:00—19:00 მუსიკალური პროგრამა: ზუკა ხუციშვილი ბენდით.
 - 19:00—20:00 კონცერტი - დუეტი ჯორჯია.
- შემოგვინართდით, ერთად აღვნიშნეთ ღვინის დღეები ღვინის საგმობლოში!



აფხაზეთის გმირები დედოფლისწყაროდან

ვაგრძელებთ 1992 წელს აფხაზეთის ომში დაღუპული დედოფლისწყაროელი გმირების ისტორიების გაცოცხლებას. წინა ნომერში „შირაჰი“ დათო ჩხაიძის შესახებ მოგიტობოდათ, ახლა კი მის უახლოეს მეგობარსა და თანამებრძოლზე, **ჯემალ ღვედაშვილზე** გვინდა გიამბოთ. სიმბოლურია, რომ ჯემალის დედა უკრაინელია, **ლარისა კურის-ღვედაშვილი** შვილიც რუსულმა აგრესიამ წაართვა და მშობლების საფლავიც პუტინის ოკუპაციის ქვეშაა. 2014 წელს მისი მეორე სამშობლოც ოკუპანტის ხელში გადავიდა და იქ გამგზავრებას ვეღარ ახერხებს. გვიყვება, რომ ახლა უკრაინაში მიმდინარე ამბები ჭრილობას კიდევ უფრო უღრმავებს.

„შირაჰი“ ეცადა ჯემალ ღვედაშვილის ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი ცხოვრების შესახებ საინტერესო დეტალები მისი დედისგან მოესმინა. ის ქართულ ენაზე ვერ საუბრობს, თუმცა, ჩვენი ინტერვიუ მაინც შედგა.

ლარისა ღვედაშვილი: ჯემალ ღვედაშვილის დედა „რა შეიძლება გავისხენო ჩემს შვილზე. ყველაფერი დეტალურად მახსოვს, როგორი სიარული იცოდა, მისი ღიმილი, თუ ბედნიერი სიცილი, მისი საუბრის მანერა... ეს ყველაფერი არასოდეს დამავიწყდება. ჯემალ ღვედაშვილი დაიბადა 1969 წლის 15 თებერვალს. წითელწყაროს ე.წ. რუსულ სკოლაში სწავლობდა, შემდეგ ჯაფარიძის პროფ-ტექნიკუმი დაამთავრა. პატარაობიდან ათლექიზმი იზიდავდა და სისტემატიურად ვარჯიშობდა. ასევე, ფოტოხელოვნება იტაცებდა, ოთახი სულ საინტერესო ფოტოებით ჰქონდა გაფორმებული. მოხდენილი, სპორტული აღნაგობა ჰქონდა, ჯანსაღ ცხოვრებას მისდევდა და ვარჯიში მისი ყოველდღიურობა იყო. არ სვამდა და არც ენოდა. კონფლიქტური არ იყო, ვინც იცნობდა, ყველა დადებითად ახასიათებდა. სამართლიანი იყო და ყველას იცავდა. დედოფლისწყაროში სამხედრო ნაწილთან ახლოს ვცხოვრობდით და ისე იზრდებოდა, მუდმივად მათ ყოველდღიურობას ხედავდა. სხვათაშორის, 5 წლის ასაკიდან სამხედრო ნაწილში გადადიოდა და იქ ვარჯიშობდა ხოლმე. ძალიან უყვარდა სიცოცხლე, რომელიც შემდეგ სამშობლოს თავისუფლებას შესწირა. ჯარის დამთავრების შემდეგ კირქვის ქარხანაში მუშაობდა. ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავდა. როცა ომში გაიწვიეს და უწყება მოგვივიდა, გადწყვეტილი მითხრა, ომში

მივდივარო. არ დამიშლია, ვიცოდი, არ დამიჯერებდა, მაგრამ მაინც არ გამიწვივია მისთვის წინააღმდეგობა. „ყველა მიდის და მეც უნდა წავიდეო“ ისეთი ტონით მითხრა, ვერაფერს შევცვლიდი. წასვლამდე ჩვენს ბოლო შეხვედრას რომ ვისხენებ, ძალიან ემოციურია ჩემთვის... ჩამეხუტა, მაკოცა და დამპირდა, შენს სანახავად შაბათ-კვირას ხშირად ჩამოვალო. რამდენჯერმე მნახა. ერთხელაც, რომ აღარ ჩამოვიდა, გავიქეცი და სადგურში ვიციდიდი, მეგონა ვნახავდი. მაგრამ დედოფლისწყაროს საგურზე ძირითადად წამსვლელები ირეოდნენ, იქიდან არავინ ჩამოსულა. როგორც ვიცი, 28-ე ბატალიონში მებრძოლებს წრთვნიდა. ჩემი შვილი ძირითადად მეომრების გადასამზადებლად წაიყვანეს. მეთაურმაც მითხრა დაკრძალვის დროს, რომ როგორ ევექტურადაც ჯემალი ამზადებდა ბიჭებს, ასე არავინ ყოფილაო. თბილისში იყვნენ, როცა განგაში ატყდა და ბატალიონი ომში წავიდა. დარეკეს, წავედითო, მაგრამ მალე კავშირი გაწყდა.

ომამდე ჯემალი სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად გერმანიაში მსახურობდა, სამხედრო საჰაერო ძალების ნაწილში ორი წლით იყო წასული. აი ასეთი იყო ჩემი ჯემალი, ჩემი დამცველი და იმედი. მისი დაღუპვის შემდეგ ჩემმა



წლით იყო წასული. აი ასეთი იყო ჩემი ჯემალი, ჩემი დამცველი და იმედი. მისი დაღუპვის შემდეგ ჩემმა




ჯემალ ღვედაშვილი და დათო ჩხაიძე

ცხოვრებამ აზრი დაკარგა, არსებობას ვაგრძელებ მხოლოდ მისი ხსოვნისა და არდავინყებისათვის. დედისერთა იყო, არ ეკუთვნოდა წასვლა, მაგრამ უკან არ დაუხევია. დათო და ჯემალი ბავშვობიდან მეგობრობდნენ, ერთმანეთის სახლებში ხშირად დადიოდნენ და სულ ერთად იყვნენ. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, ცხოვრებაც ერთად დაასრულეს და ერთად დაიდეს სამარადისო ბინა. კობა ბატალიონში გაიცნეს.



1992 წ. დედოფლისწყარო, გმირების დაკრძალვა. მსვლელობა პირველ სკოლასთან

დათო „ბე-ემ-პეს“ მძლავრი იყო, კობა მსროლელი, ჯემალი ზემდეგი. სხვა ინფორმაცია არ მქონდა. 1992 წლის 1 აპრილს სამივე ფოთთან დაიღუპა. დათო 21 წლის იყო, დანარჩენები 23-ის... ისინი დედოფლისწყაროში 3 აპრილს ჩამოასვენეს და 7 აპრილს დაკრძალვა შედგა. სამხედროების გადაწყვეტილებით, სამივე გვერდგვერდ დაიმარხა.



„ჯემალი მოდის სახლში“ ასე მითხრეს, სიმართლეს მიმაღავედნენ. მეზობლები ჩუმჩუმად ტიროდნენ, თურმე ყველამ სიმართლე იცოდა და ვერავინ მეუბნებოდა. გამგებობაში მითხრეს, დაჭრილია და სახლში მოიყვანენო, გამიკვირდა, თუ დაჭრეს, საავადმყოფოში წაიყვანონ, მივალ და სისხლს მივცემ-მეთქი. სახლში რატომ მოჰყავდათ, ვერ ავხსენებ. მაგრამ ჩემი შვილი შემოასვენეს სახლში. გახსენებაც მიმიძმს ამ ნუთების, ცუდად ვხდები... ჩემთვის უცნობია ლალატს ჰქონდა თუ არა ადგილი, ან, რამდენად სიმართლეა

ძალიან მიჭირდა აქ დარჩენა ჩემი ერთადერთი შვილის გარეშე. მინდოდა გარემო შემეცვალა და ქუთაისში გადავედი საცხოვრებლად. 7 წლის განმავლობაში სამხედრო ნაწილში ვიმუშავე. მინდოდა ჯარისკაცებთან ახლოს მემუშავა, მათი ყოველდღიური ყოფა ახლოდან მენახა. მზარეულად ვმუშაობდი და მათზე ვზრუნავდი. დედოფლისწყაროში ჩემი შვილის საფლავზე წელიწადში რამდენჯერმე თუ ვერა, აღდგომის დღესასწაულზე აუცილებლად ჩამოვდივარ-ხოლმე. საფლავს ვასუფთავებ, ვუვლი, ვღებავ... ბევრს ვფიქრობ, რომ ქუთაისში სახლი გავყიდო და საცხოვრებლად ისევ დედოფლისწყაროში დავბრუნდე, ჩემი შვილის საფლავთან ახლოს ვიქნები.

ვერსია, რომ თუ ვინმე დათოს და ჯემალის ჩაისვამდა, ისინი გადარჩებოდნენ. მაგრამ, როგორც მე თანამებრძოლებმა ამხსენეს, სნაიპერის ტყვიას შეეწირნენ დათოც და ჯემალიც. 500-მდე მეტრძოლი ჩამოვიდა სამიძმარზე. ბატალიონმა მათი სიაც კი გადმოძრა, ვინც ჩემს დასახმარებლად დაკრძალვაზე ფული შეაგროვებდა. მათ გვითხრეს, რომ სნაიპერზე, რომელმაც დათოსა და ჯემალს ესროლა, ჩვენმა ბიჭებმა შური იძიეს და მოკლეს. ხალხმრავალი დაკრძალვა იყო. ბევრმა მიაგო პატივი მათ ხსოვნას. სამივე გმირის ცხედრების მსვლელობა დედოფლისწყაროს ცენტრში, გამგებობის შენობასთან შეჩერდა და შემდეგ სასაფლაოსკენ დაიძრა. გაიმართა სიტყვაში გამოსვლები და სამგლოვიარო მიტინგი. სახელმწიფო სათანადოდ დაგვიდგა გვერდში, გამგებობამც ყველა ხარჯი დაფარა. ყოველთვის ვგრძნობდი დაფასებას და ხელისუფლების ყურადღებას, პენსიასაც ვიღებდი... მაგრამ რადგან ის პენსია 46 ლარი იყო, ასაკობრივი უფრო მეტი, მასზე უარი განვაცხადე და ასაკობრივი პენსიით ჩავანაცვლე. შვილის დაკრძალვის შემდეგ დედოფლისწყარო მალევე დავტოვე,

მე უკრაინელი ვარ, ჩემი მშობლები უკრაინულ მინაზე არიან დაკრძალულნი. ჩემი მშობლიური ქალაქი და მთლიანად ზაპოროჟიეს ოლქი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. ამიტომაც, მე არ შემიძლია მოვინახულო ჩემი მშობლების საფლავები. ბოლოს იქ 2014 წელს ვიმყოფებოდი და რამდენიმე თვეში რუსული აგრესია დაიწყო და ოკუპაცია მოახდინეს. მანამდე იქ ხშირად დავდიოდი. ქართულ გვარს რომ ვატარებ, ეს ბევრ დაბრკოლებას მიქმნის. ჩასვლისთანავე დაპატიმრება მელის. მაგრამ, გაჩუმებას მაინც არ ვაპირებ და ყოველთვის ხმამაღლა ვაფიქსირებ, რომ სასტიკი წინააღმდეგი ვარ პუტინის ფაშიზმის, ომისა და ოკუპაციის. აუცილებლად ვადიდებ უკრაინას. დიდება უკრაინას და დიდება საქართველოს! მინდა მშვიდობა იყოს მთელ დედამიწაზე. პუტინს კი მხოლოდ სიკვდილს ვუსურვებ, სამყარო რომ გათავისუფლდეს, მხოლოდ ესაა ხსნა!... მართალია შვილი დავკარგე, მაგრამ მიზეზი დღემდე არ ვიცი, მინდა, აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში იყოს.



1992 წ, 7 აპრილი

ქეთევან ქიმოსტელის საიუბილეო საღამო ზემო ქედში

ზემო ქედში კულტურის დამსახურებული მოღვაწის, ქეთევან ქიმოსტელის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა. იგი სამი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კულტურის სახლს და მისი მოღვაწეობის პერიოდი დიდი შემოქმედებითი აღმავლობით გამოირჩეოდა.

საღამო მხატვრულად გააფორმეს ქედების ზონის თვითმოქმედმა კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა ნოდარ შაინიძის, თამუნა კობაიძისა და მაცყალა ნიკლაურის ხელმძღვანელობით. იუბილარის დამსახურების შესახებ ისაუბრეს და იუბილე მიულოცეს თამარ თამაზაშვილმა, ცარო მარტიაშვილმა, მაია ყველაშვილმა, ზურაბ ბიკაშვილმა. ქალბატონ ქეთევანს კულტურის სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მადლობის სიგელი და ფასიანი საჩუქარი გადაეცა.

შედეგ სამთანყაროელი მედოლე ბიჭების დებიუტი, ლექსები წარმოთქვეს ზემო ქედელმა ბავშვებმა, 10 წლის გიორგი ქენქაძემ და ნელიკო ჭურჭლაურმა. ასევე ღონისძიებას ესწრებოდნენ რაიონის ამაგდარი ქორეოგრაფი, ცეკვისა და სიმღერის ამაგდარი მოღვაწე ლეო ხუნაშვილი, სპორტის ოსტატი და ხალხური მომღერალი გივი ლაზიაშვილი. მათ იუბილარს 80 წლისთავი მიულოცეს და წარსულის ნაყოფიერი წლები გაიხსენეს.

ღონისძიებაზე ითქვა, რომ ზემო

ქედის უნიკალური კულტურის სახლის შენობის დაცვის საქმეში ქეთევან ქიმოსტელს დიდი წვლილი მიუძღვის. ის 90-იან წლებში. საყოველთაო სწავლის პერიოდში ზემო ქედის კულტურის სახლს ხელმძღვანელობდა და ამ სოფლისა და ამ შენობის თანამშრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ზემო ქედი დედოფლისწყაროში ერთადერთი სოფელია, რომელმაც ხელუხლებლად შემოინახა უნიკალური ზომის და ფორმის კულტურის სახლის შენობა, რომელიც ისედაც გამორჩეული იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით. ბევრ სოფელში სწორედ ამ წლებში განადგურდა და გაიძარცვა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები. ზემო ქედში ყველა გეტყვით, რომ მხედრიონის დროს თანამშრომლებსა და ქეთევან ქიმოსტელის დიდი ძალისხმევით შედეგად უწევდათ შენობის დაცვა და ქონების შენარჩუნება.

„ჯერ ერთი ოთახის გამოყოფა მომთხოვეს, შემდეგ მეორე ოთახი მოინდომა მხედრიონმა. დამეც აქ ვრჩებოდით, ხან რამდენჯერმე მოვიდოდით ხოლმე სახლიდან და შენობას გარშემო შემოვუვლიდით, შუქებიც არ იყო და სიბნელეში ფანარს ვანათებდით, რამე ხომ არ დაზიანდა, ვამოწმებდით, დიდი წვლების ფასად შევძელით შეგვენარჩუნებინა ეს ყველაფერი. ეს შენობა 1986 წლის 19 დეკემბერს გაიხსნა, თუმცა მანამდეც მოვდიოდით და ჯერ სარემონტო სამუშაოები არ იყო დას-



რულებული,“ - ყვება იუბილარი. ქეთევან ქიმოსტელი დაიბადა 1942 წლის 10 აგვისტოს სოფელ ზემო ქედში, ნიკოლოზ ქიმოსტელისა და მარიამ ბექაური-დიდებაშვილის ოჯახში.

2 თვის იყო, როდესაც მამა ომში გაიწვიეს, საიდანაც იგი აღარ დაბრუნებულა. ბავშვზე მზურველობა მთლიანად დედამ აიღო საკუთარ თავზე. 1958 წელს დაამთავრა ზემო ქედის საშუალო სკოლა. დამთავრებისთანავე ლიმიტის მისაღებად სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, არსენ კობაიძის ინიციატივით მეფრინველეობის ფერმაში მიიღეს, სადაც 6000 ფრთა ქათამი ჩააბარეს გასაზრდელად. მალე, როგორც მონიხვე მუშაკი, პარტიამი მიიღეს, ცეკას პლენუმის წევრიც გახდა, რაიკომის ბიუროს წევრიც და საქართველოს დეპუტატის ნოდარ შაინიძის, რისთვისაც სახელმწიფო 50 მანეთ ხელფასს უხდოდა. დაჯილდოებულია პრეზიდენტის სიგელით, ღირსების მედლით და ლენინის ორდენით. მალე ჩაირიცხა ზოოვეტერინარულ სასწავლებელში, ორ წელში ოჯახი შექმნა. მრავალგზის საქართველოს ჩემპიონთან ქართულ ჭიდაობაში, უშანგი ჩოხელთან ერთად. ოჯახის გამო სწავლა ვეღარ განაგრძო და საბუთები სამედიცინო ტექნიკუმში შეიტანა, 12 წელი იმუშავა ზემო ქედის უფროს მედლად. 1971 წელს, ზემო ქედში შექმნა „ზემო ქედის ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრის და სიმღერის გუნდი“, ეს გახლათ საქართველოში ერთადერთი „ქართულ-ხალხურ საკრავთა ორკესტრის და სიმღერის

გუნდი“, რომელსაც სახალხო ნოდება ჰქონდა მინიჭებული. ანსამბლის დაარსების დღიდან ქალბატონი ქეთინო ამ ანსამბლის წევრი იყო, ვინაიდან ბავშვობიდან მღეროდა და აქტიურად იყო ჩართული ყველა ღონისძიებაში, ისევ არსენ კობაიძისავე ინიციატივით, ქეთევან ქიმოსტელი 1980 წელს ზემო ქედის კულტურის სახლის დირექტორად დაინიშნა. მისი დირექტორობის დროს, ზემო ქედის კულტურის სახლში იმართებოდა კახეთის ზონის და რესპუბლიკური დონის ოლიმპიადები. ამბობს, რომ დილის ექვს საათზე დგებოდა, სოფელს დაუვლიდა, ხალხს მოაგროვებდა და საღამომდე მღეროდნენ და მეცადინეობდნენ. დირექტორად დანიშნვის დღიდან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ზემო ქედის კულტურის სახლი ფეხზე მყარად მდგარიყო. ამ კულტურის სახლში შექმნილი იყო სახალხო თეატრი ავთო ბურდულის ხელმძღვანელობით, სადაც ზრდასრულები მონაწილეობდნენ, მათ 6 საავტორო სპექტაკლი დადგეს.

„შემოვლილი გვაქვს საზღვარგარეთის 4 ქვეყანა. ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში გავხდით ლაურეატები. არსენ კობაიძე იყო ჩვენი ყველანაირი გაგებით გვერდში მდგომი. ღამის პირველი საათზე დამირეკავდა. მისი დამსახურებით აშენდა ეს შენობა და ჩვენც ვეცადეთ ნდობა გაგვემართლებინა,“ - იხსენებს ქეთევან ქიმოსტელი.

ილია მარტყოფლიძე



რ ე მ ა ზ ტ ა კ ი ძ ე - 8 0

გამოჩენილი ქართველი დირიჟორის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის „მეტრის“ ნომინანტის რევაზ ტაკიძის საიუბილეო საღამო გაიმართა, ამ დღეებში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში დედოფლისწყაროსი. ჭაჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციის თაოსნობით (თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი, თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე) აღსანიშნავია, რომ თავად იუბილარი ბატონი რეზო ტაკიძე და ოპერის სოლისტები: არმაზ დარაშვილი, ოთარ ჯორჯიკია, მამუკა ლომიძე ამავე ასოციაციის წევრები არიან.

საიუბილეო საღამო გაიხსნა კომპოზიტორთა კავშირის ტრიოს: ქეთევან თავმჯავაძის, ია ბახტაძის, მაია ჯინჭველიძის მიერ შესრულებული ვაჟა ზარაშვილის გულში ჩამწვდომი მუსიკალური ჰანგებით.

რევაზ ტაკიძის იუბილეს მიეძღვნა დედოფლისწყაროელი მხატვრული ქარგვის ფერმწერის, საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი ნომინანტი „გემოვნებიანი ქალბატონის“ ლია მაისურაძის პირველი პერსონალური გამოფენა, რამაც დამთავალიერებლებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. „მხატვრული ქარგვა“ ანუ ნემსითა და მულისინი ძაფით ხატვა-საინტერესო და იშვიათია,მაესტროს ღვაწლზე ვრცლად ისაუბრეს საქართველოს მუ-

სიკალური საზოგადოების თავმჯდომარემ მანანა ახმეტელმა, საქართველოს სახალხო არტისტებმა ელდარ გენაძემ, იმერი კავაძემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნათელა ვაჩნაძემ-ჟორდანიამ, სახელოვან იუბილარს მიესალმნენ ბორჯომიდან სპეციალურად ჩამოსული ღვაწლმოსილი პედაგოგი, გაზეთ „ბორჯომის“ კორესპონდენტი დალი ქურდაძე, საქართველოს დამსახურებული არტისტი მანონი ყუბანეიშვილი, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე დავით შემოქმედელი, აკადემიკოსი თამაზ შილაკაძე, კომპოზიტორი და პიანისტი მაცყალა ხორბალაძე, ნანა მიქაბერიძე და სხვები.

სახელმწიფო პრემიების ოთხგზის ლაურეატის, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების, მათ შორის, ევროკავშირის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის დამფუძნებელმა გურამ ქაშაკაშვილმა ზურაბ ანჯაფარიძის ლაურეატის დიპლომით და ოქროს მედლით დააჯილდოვა გამოჩენილი მაესტრო რევაზ ტაკიძე.

დედოფლისწყაროელების სახელით ახალგაზრდა დეკლამატორმა, თსუ-ის ბიოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებულმა სტუდენტმა მარიამ ტოხიშვილმა იუბილარს მიუძღვნა საკუთარი ლექსი, კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულ-

ტეტის სტუდენტმა თათა კვანტალიანმა უზადოდ შეასრულა დომენიკო სკარლატის სონატა რე მინორი.საიუბილეო საღამო დაამთავრეს ახალგაზრდა ვოკალისტებმა მარიამ როინიშვილმა, ნატალია ქუთათელაძემ, თამარ ოდიშარიძემ, ოპერის სოლისტებმა: ელენე ჯანჯალიამ, თამარ ლოპუანიძემ და სხვებმა.

მაესტრო რევაზ ტაკიძესთან ერთად მსოფლიოს სხვადასხვა ცნობილ საოპერო სცენის მალაპროფესიონალ სოლისტებს: არმაზ დარაშვილს, მამუკა ლომიძეს, ოთარ ჯორჯიკიას საქართველოს ილია ჭაჭავაძის სახელობის მნიგნობართა გამგეობის მიერ გადაეცათ დიპლომები და რეზო ამაშუკელის ერთტომეული.

დაჯილდოვებულებს დიპლომები და ნიგნები გადასცა დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ლიტერატურული აღმანახის „ბორნაბუჯი“ რედაქტორ-გამომცემელმა, გიორგი ნატროშვილმა, მან აღმანახი N2 (13) საჩუქრად დაურიგა როგორც ოპერის მომღერლებს, ასევე საიუბილეო საღამოზე სპეციალურად მოწვეულ სტუმრებს.

საღამოს დასასრულს არმაზ დარაშვილმა (ტენორი) და მამუკა ლომიძემ (ბარიტონი) ბრწყინვალედ იმღერეს აბესალომისა და მურმანის დუეტი ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“ 20 წუთის განმავლობაში არ წყდებოდა აპლოდისმენტები.

საიუბილეო საღამოს საინტერესოდ უძღვებოდა ხელოვნებათმცოდნე ია ხურცილავა, საონსორი გახლდათ „ნასრაშვილების საოჯახო მელენიობა“.

რევაზ ტაკიძემ უღრმესი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას ასეთი თბილი, შთამბეჭდავი საიუბილეო საღამოს გამართვისათვის, პირადად პროექტის ავტორს, ოპერის მეგობარს, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს ნანა ჭიჭინაძეს და დასძინა: „ქალბატონი ნანა მნიგნობართა ასოციაციის მიერ განხორციელებულ პროექტებში დედაქალაქში თუ თავის რაიონში ყოველთვის იწვევს ოპერის ცნობილ მომღერლებს და ამით დიდი წვლილი შეაქვს საოპერო ხელოვნების პოპულარიზაციაში“.

ღამსწრა საზოგადოებას დიდხანს ემახსოვრება რევაზ ტაკიძის საიუბილეო საღამო და თვითნასწავლი ფერმწერის ლია მაისურაძის პირველი პერსონალური ნაძარბაზის გამოფენა, მიქლწინილი გამოჩენილი დირიჟორისადმი, რა-შიც უდავოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის პროგრამების განყოფილების უფროსს ბიორბი სპანაძეს.

მარიკა ჰოპიაშვილი, დედოფლისწყაროს მნიგნობართა ასოციაციის მდივანი



დედოფლისწყაროს პირველობა უშუს



2 ოქტომბერს დედოფლისწყაროში უმასპინძლა უშუს-სანდას მე-5 ლია პირველობას. ჩვენს მუნიციპალიტეტს სტუმრობდნენ ქუთაისის, ჩოხატაურის, მარტვილის, თბილისის და უინვალის გუნდები. ჩემპიონატს გახვთ „შირაქის“ სპორტული განყოფილებაც ესწრებოდა. პანდემიის გამო გამონეული ორწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ შეჯიბრება უმაღლეს დონეზე ჩაიარა და დამსწრეთა დიდი მონონება დაიმსახურა.

შეჯიბრზე 17 წონით კატეგორიაში გადანიშნულნი სპორტსმენები, ჯამში 60-ზე მეტი ბრძოლა შედგა. ჩვიდმეტიდან 7 პირველი ადგილი დედოფლისწყაროელმა მებრძოლეებმა დაისაკუთრეს.

ჩემპიონები გახდნენ, ლუკა ლიქოძე, დარი ზორლოლიანი, ნუზარ ჭრელიაშვილი, ნიკა ნიკლაური, ხოლო უფროს ასაკში ჩემპიონატის თასი და ოქროს მედალი გადაეცათ ნიკოლოზ ხარაზიშვილს, დავით ბუაძესა და საბა ბუთხუზას.

დედოფლისწყაროს უშუს გუნდის მებრძოლე, 14 წლის საბა ბუთხუზი საქართველოს უშუს ეროვნული ნაკრების წევრია. როგორც ფედერაციაში „შირაქს“ განუცხადეს, დედოფლისწყაროელი სპორტსმენებიდან ყველაზე მეტად საბა ბუთხუზია მომზადებული, ამდენად, ის წლის ბოლოს მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებლად შეარჩიეს.

გიორგი ცისკარაშვილი (ჩემპიონატის ორგანიზატორი, დედოფლისწყაროს უშუს გუნდის მწვრთნელი): „საკმაოდ ინტენსიური სახე მიიღო დედოფლისწყაროში ამ ტურნირის ჩატარებამ, სამინისტროს კალენდარში იყო წინასწარ განსაზღვრული და ამდენად, დედოფლისწყარომ უმასპინძლა ამ ჩემპიონატს. მომავალშიც ტრადიციული ხასიათი ექნება და ერთჯერადი აქტივობა არ გახლავთ. აქ მიღებული შედეგები სპორტსმენების კარიერულ განვითარებაზე გავლენას მოახდენს. ვფიქრობ, მომავალ წელსაც ვუმასპინძლებთ ასეთ ჩემპიონატს, სავარაუდოდ, ისევ ოქტომბრის თვეში და გავაერთიანებთ მთელი საქართველოდან უშუს საუკეთესო სპორტსმენებს. ყველაფერი გავაკეთეთ საიმისოდ, რომ შეხვედრებს უმაღლეს დონეზე ჩაველო და სათანოდ გვემასპინძლა სტუმრებისთვის. მზადების რამდენიმე თვიანმა პერიოდმა კარგად ჩაიარა, გვექონდა პატარა შეცდომებიც. პირადად მე ვირუსი შემხვდა და მეცადინეობების ნაწილი გავაცდინე. ბავშვები სისტემატურად დადიან, დისციპლინა კარგადაა გუნდში დაცული, გაცდენები მინიმუმამდეა შემცირებული. შედეგამაც არ დააყოვნა. მთლიანობაში დედოფლისწყაროს გუნდმა სხვა ქალაქებთან შედარებით, ყველაზე მეტი პირველი ადგილის მოპოვება შეძლო.“

ავთანდილ ჯიჟიაშვილი (უშუს ფედერაციის მთავარი მსაჯი): „ასეთი ჩემპიონატების რეგონებში ჩა-



ტარება კარგია იმ ახალგაზრდების მოტივაციისთვის, რომლებიც დედოფლისწყაროში და მის მიმდებარედ ცხოვრობენ. დღეს ძალიან დიდი წვლილი შეიტანა გიორგი ცისკარაშვილმა და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო როგორც მას, ისე სპორტის სამსახურს და მერიას ხელშეწყობისათვის. თუ ასეთი შეხვედრები ხშირად მოეწყობა, ვფიქრობ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის გარდა, სპორტული ნარმატივების მომტანიც იქნება.“

ლუკა სუმბულაშვილი (უშუს ნაკრების მთავარი მსაჯი): „მნიშვნელოვანი შესარჩევი ბრძოლები გაიმართა. ერთ-ერთი დედოფლისწყაროელი საბა ბუთხუზიც ემზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის, ამიტომ, ამ ჩემპიონატზე შეირჩა ის საკანდიდატო წევრები, რომლებიც მაღალი დონის შეჯიბრებებზე გაიგზავნებიან. წლის ბოლოს, დეკემბერში ჩატარდება საქართველოს უშუს ეროვნული ჩემპიონატი და იქ გამოვლინდებიან მომავალი წლის ნაკრების გუნდები. ვინც მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებლად ახლა ემზადება, მათ ბათუმში საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონები გახდნენ. ასევე არიან საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები და ჩემპიონები. ეროვნული ჩემპიონატის ეგიდით რაც ჩატარდა, ამ სპორტსმენებმა ყველაფერი დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს. შესაბამისად, ნაკრებში შევარჩიეთ. ნაკრების წევრი დედოფლისწყაროდან ბევრია,

მაგრამ ჩავთვალეთ, რომ ახლა ყველაზე მეტად ახალგაზრდებში საბა ბუთხუზია მზად მსოფლიო ჩემპიონატისთვის.“

ნიკოლოზ ხარაზიშვილი: „ჩემს რაიონში რომ გავიმარჯვე, ბედნიერი ვარ, ჩემი გუნდი და მთლიანად რაიონი რომ ვასახელე და გავახარე, სასიამოვნო განცდაა ჩემთვის. ყოველდღიურად ვვარჯიშობდი თავდაუზოგავად, ვცდილობდი, შესაძლებლობების მაქსიმუმი გამეკეთებინა და გამომივიდა.“

საბა ბუთხუზი: „ჩოხატაურელს შევხვდი, წინააღმდეგობა გამინია, მაგრამ ადვილად დავამარცხე. რა რჩევებიც მწვრთნელმა მომცა, ყველაფერი შევასრულე და ჩემპიონატის თასი მოვიპოვე. ამიერიდან ორმაგი ვარჯიშები მექნება, რადგან მსოფლიო ჩემპიონატისთვის ვემზადები და ეს უკვე სხვა საფეხურია. ძალიან მინდა, იქაც ასეთივე კარგი შედეგი დავდო. მთლიანად დავიხარჯე და თავს არ დავზოგავ ამისათვის. დედოფლისწყაროდან ერთადერთი ვარ, რომელიც ეროვნულმა ნაკრებმა და ფედერაციაში მსოფლიო ჩემპიონატისთვის შეარჩია და ეს დიდი პასუხისმგებლობაა ჩემთვის, რათა ყველას იმედი გავემართლო.“

ილია მარტყოფლიშვილი



ულოცავენ! სათუნა აგლაქეს! ნუნუ საკაშვილს! ნანა ჭიჭინაქეს!

ჩვენო ძვირფასებო, გულითადად გილოცავთ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციის გამგეობის მიერ დიპლომით „საქართველოს ცოცხალი განძი“ დაჯილდოვებას.

გისურვებთ მრავალ ახალ წარმატებას თქვენი დიდებული კუთხის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,
აკადემიკოსი ინესა მირაზიშვილი,
ფილოლოგიის დოქტორი მარინა მაჭავარიანი.

უფასო სამედიცინო მომსახურება ჩაფიქის კლინიკისგან

ჩაფიქის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი საქველმოქმედო აქციის ფარგლებში 9 ოქტომბერს, ცენტრის მაღალკვალიფიციურმა ექიმებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უფასო სამედიცინო მომსახურება გაუწიეს.

- სამედიცინო კვლევები ჩატარდა:
- *კარდიოგრამა;
 - *ექოსკოპია;
 - *ლაბორატორიული კვლევები (გლუკოზა, ქოლესტერინი);
 - *კარდიოლოგიის კონსულტაცია;

ამინდი		დედოფლისწყარო									
ორშაბათი 10.10	სამშაბათი 11.10	ოთხშაბათი 12.10	ხუთშაბათი 13.10	პარასკევი 14.10	შაბათი 15.10	კვირა 16.10					
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
22°	11°	21°	8°	19°	8°	17°	8°	17°	8°	16°	9°

გამომცემელი შპს „შირაპი“ დირექტორი ინესა მირაზიშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: შუშუნა მანანაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაზიშვილი (სტილისტ-მწვერევი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათია ბოსტაშვილი (ბულაღტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მწვერევი); მზინა ქანჭავაძე (საქმის მწარმოებელი). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-09-24-65 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
--	--	---	---